

2017-09-27

ბრძანება №: 216/02-01

კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო)

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტუდენტების შინაგანაწესის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი ნაწილის, 54-ე მუხლის პირველის ნაწილის, 57-ე მუხლის, 61-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-6 და მე-7 ნაწილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის NN135/6 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბალანსზე რიცხული უძრავი და მოძრავი ქონების უვადოდ გადაცემის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 30 მაისის №498 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების შინაგანაწესი“ (დანართი №1).
2. წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 02 დეკემბრის N190/02-01 ბრძანება (მასში შესული ცვლილებებითა და დამატებებით).
3. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში - „თბილისის უნივერსიტეტი“ გამოქვეყნების უზრუნველყოფა დაევალოს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორს ნინო კაკულიას.
4. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს.
6. ბრძანება ძალაში შედის გამოცემისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ნუნუ ოვსიანიკოვა

დანართი N1

დამტკიცებულია

სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის

2017 წლის 27 სექტემბრის N216/02-01 ბრძანებით

კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო)

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის შინაგანაწესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) სტუდენტის საერთო საცხოვრებლის შინაგანაწესის მიზანია დაადგინოს საერთო საცხოვრებელში განთავსების უფლების მქონე პირთა წრე, განთავსების წესი და პირობები, პროცედურები და საერთო საცხოვრებელში განთავსებასა და ცხოვრებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

2. უნივერსიტეტის სტუდენტის საერთო საცხოვრებელი კორპუსები განლაგებულია ქ. თბილისში, ბაგებისა (ბაგების საერთო საცხოვრებელი) და ლისის ტბის (ლისის საერთო საცხოვრებელი) ტერიტორიებზე.

მუხლი 2. აქტში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

შინაგანაწესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ონლაინ რეგისტრაცია - უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ სტუდენტის საერთო საცხოვრებელში ამ შინაგანაწესისა და უნივერსიტეტის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესითა და პირობებით ცხოვრების სურვილის ელექტრონული გზით (სტუდენტის პორტალზე) გამოხატვა;

ბ) სტუდენტი - პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, დოქტორანტურის, პროფესიული, ქართულ ენაში მომზადების, საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად, აგრეთვე პირი, რომელიც ჩარიცხულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელიც ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ასრულებს სასწავლო კომპონენტის ან/და კვლევითი კომპონენტის ნაწილს უნივერსიტეტში ან თსუ დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში;”

ძალაშია 2019 წლის 24 დეკემბრიდან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება N293/02-01, 24/12/2019წ.

„ბ¹) სტუმარი - უნივერსიტეტში მოხილობის ან გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მყოფი სტუდენტი, უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული შესაბამისი მემორანდუმის, ხელშეკრულებისა თუ სხვა სამართლებრივი აქტის ფარგლებში უნივერსიტეტში დროებით სტუმრად მყოფი პირი, რომელიც წარმოადგენს საქართველოს, ან საზღვარგარეთის ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს, ან პერსონალს, ასევე უნივერსიტეტის სახელით გასამართ

დონისძიებაზე (რომლის ორგანიზატორი, ან თანაორგანიზატორია უნივერსიტეტი) მოწვეული, ან ამ დონისძიებაში მონაწილე პირი, ასევე უწყვეტი განათლების ცენტრის კურსის მსმენელი.“
[ძალაშია 2019 წლის 01 მარტიდან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება N41/02-01, 01/03/2019წ.](#)

გ) საცხოვრებელი ფართი – ადგილი ოთახში.

მუხლი 3. საერთო საცხოვრებელში განსახლების უფლება და პირობები

„1. საცხოვრებელ ფართზე დროებით ცხოვრების უფლება ენიჭებათ უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს მიუხედავად მოქალაქეობისა (ონლაინრეგისტრაცია გავლილი პირისა და მობინადრის სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ ინფორმაცია დგინდება პერიოდულად - არანაკლებ სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ, სტუდენტის ადმინისტრაციის მიერ).

2. საერთო საცხოვრებელში განთავსების უფლების მქონე პირებს (შემდგომში - „მობინადრე“) უფლება აქვთ ისარგებლონ საცხოვრებელი ფართით მეუღლესთან ან/და შვილთან/შვილებთან ერთად მხოლოდ ბაგების საერთო საცხოვრებელში (აღნიშნული პუნქტი ვრცელდება მხოლოდ 2018 წლის 12 სექტემბრამდე საერთო საცხოვრებელში განთავსების უფლების მქონე პირებზე).“

[ძალაშია 2018 წლის 10 სექტემბრიდან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება N230/02-01, 10/09/2018წ.](#)

3. საერთო საცხოვრებელში ცხოვრების უფლება წარმოიშობა ონლაინ რეგისტრაციის შედეგად წინამდებარე შინაგანაწესით განსაზღვრული შერჩევის კრიტერიუმების შესაბამისად, უნივერსიტეტსა და მობინადრეს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

„4. საცხოვრებელ ფართზე დროებითი ცხოვრების უფლება სტუდენტს, პროფესიულ სტუდენტს ან სხვა უფლებამოსილ პირს (აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე რიცხული პირი) ერთ საგანმანათლებლო საფეხურზე/საგანმანათლებლო პროგრამაზე (მათ შორის პროფესიული და სხვა საგანმანათლებლო პროგრამა) ენიჭება ერთჯერადად (შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხურის/საგანმანათლებლო პროგრამის ერთხელ გავლის/დასრულების მიზნებისათვის), არაუმეტეს ამ საგანმანათლებლო საფეხურის/საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის ვადით. მობინადრის ხელშეკრულების მოქმედების მაქსიმალური ვადა განისაზღვრება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ვადის ფარგლებში (ხელშეკრულების ვადის გაგრძელება დასაშვებია ერთი დამატებითი სემესტრით, მობინადრის განცხადების საფუძველზე, ასევე დამატებით, კიდევ ერთი სემესტრის ვადით, მხოლოდ იმ მობინადრეებისთვის (სტუდენტებისთვის), რომელთაც შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებისათვის, დამამთავრებელ ეტაპზე, ესაჭიროებათ არაუმეტეს ერთი დამატებითი სემესტრისა).“

[ძალაშია 2022 წლის 02 აგვისტოდან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება N151/02-01, 02/08/2022წ.](#)

„4¹. 41. მობინადრესთან გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების მაქსიმალური ვადის გახანგრძლივება შესაძლებელია მხოლოდ: შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხურზე ამ მობინადრის ახალი ჩარიცხვის სურვილის არსებობის შემთხვევაში (რაც გამოხატული უნდა იყოს მობინადრის წერილობით განცხადებაში), კონკრეტული სასწავლო წლის დაწყების პერიოდისათვის გამოცხადებული ონლაინრეგისტრაციის შედეგების გაცნობამდე, რეგისტრაციის გავლის შემთხვევაში განთავსების უფლების მოპოვებამდე და ასეთ შემთხვევაში შესაბამისი ქირავნობის ხელშეკრულების გაფორმებამდე.“

[ძალაშია 2018 წლის 10 სექტემბრიდან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება N230/02-01, 10/09/2018წ.](#)

„5. მობინადრეთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება ხდება ონლაინ რეგისტრაციის შედეგებისა და რეგისტრაციაგავლილ სტუდენტთა მიერ, შესაბამისი დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის საფუძველზე, ქვემოთმოცემული კრიტერიუმების პრიორიტეტულობის მიხედვით:

ა) სტუდენტი, რომელიც ამავდროულად არის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები;

ბ) სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრი სტუდენტები, რომელთა ოჯახების სოციალურეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი პირობითი ერთეულის მიხედვით არის 70000 და ნაკლები სარეიტინგო ქულა;

გ) უნივერსიტეტის სტუდენტობაში მცხოვრებელი სტუდენტის და ან მმა;

დ) სტუდენტი, რომელსაც გარდაცვლილი, ან უგზო-უკვლოდ დაკარგული ჰყავს დედა ან მამა;

ე) სტუდენტი, რომელიც ცხოვრობს მაღალმთიან რეგიონში;

ვ) სტუდენტი, რომელიც ცხოვრობს საზღვრისპირა რეგიონში;

ზ) სტუდენტი, რომელიც არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ან სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების მონაწილის ოჯახის წევრი (შვილი);

თ) სტუდენტი, რომელიც არ მიეკუთვნება „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „ვ“ „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ კატეგორიას.“

ძალაშია 2022 წლის 02 აგვისტოდან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება N151/02-01, 02/08/2022წ.

მუხლი 4. საერთო საცხოვრებლით სარგებლობის უფლების მოპოვების პროცედურა და ხელშეკრულების დადება

„1. საერთო საცხოვრებლით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად სტუდენტი ვალდებულია გაიაროს ონლაინ რეგისტრაცია. ონლაინ რეგისტრაციის დასრულების შემდგომ 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ამოღებულია.

ბ) ამოღებულია.

გ) ამოღებულია.

დ) მეუღლესთან და შვილებთან ერთად საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შემთხვევაში, მეუღლისა და შვილების დაბადების/პირადობის მოწმობის, ან პასპორტის იმ გვერდების ასლი, რომლითაც დგინდება პირის ვინაობა. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში, შესაბამისი სახელმწიფოს მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, ბინადრობის მოწმობის და ასეთის არსებობის შემთხვევაში - ვიზის ასლები.

2. მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების მიზნებისათვის სტუდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას:

ა) მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დაბადების მოწმობა;

ბ) მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული გარდაცვალების მოწმობა, ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების დოკუმენტი;

გ) მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით გაცემული სოციალურად დაუცველი ოჯახის მონაცემების ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობა.

3. საერთო საცხოვრებელში სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ ცხადდება ონლაინ რეგისტრაცია, მისი დაწყებისა და დასრულების ვადები. ონლაინრეგისტრაცია ხორციელდება სტუდენტის პორტალზე. გარდა რეგისტრაციისათვის გათვალისწინებული სხვა დასარეგისტრირებელი ინფორმაციისა, სტუდენტს ეძლევა საშუალება დააფიქსიროს საცხოვრებელი ადგილი თავისი სურვილისამებრ - ბაგების საერთო საცხოვრებელი ან/და ლისის საერთო საცხოვრებელი. ონლაინრეგისტრაცია ითვალისწინებს პირადობის მოწმობის, ან პასპორტის იმ გვერდების ელ. ვერსიის, რომლითაც დგინდება პირის ვინაობა, უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში, შესაბამისი სახელმწიფოს მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, ბინადრობის მოწმობის და ასეთის არსებობის შემთხვევაში - ვიზის ელ. ვერსიის სტუდენტის პორტალზე ატვირთვის ვალდებულებას.

4. ონლაინრეგისტრაციის დასრულების შემდგომ ონლაინრეგისტრაცია გავლილი ის პირები, რომლებიც მიეკუთვნებიან ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტითა და მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ - „გ“ ქვეპუნქტებს, ვალდებული არიან წარმოადგინონ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია ონლაინრეგისტრაციის დასრულების შემდგომ 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, სტუდენტის ადმინისტრაციაში.

5. წარმოდგენილი დოკუმენტაცია განიხილება დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადის დასრულებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში (არასრულად წარმოდგენილი დოკუმენტაციის ხარვეზის აღმოფხვრის არაუმეტეს 5 დღიანი ვადის გათვალისწინებით). სტუდენტის ადმინისტრაცია უფლებამოსილია წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორე გადაამოწმოს, მოზინადრესთან გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის ნებისმიერ პერიოდში.“

ძალაშია 2018 წლის 10 სექტემბრიდან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება N230/02-01, 10/09/2018წ.

6. უნივერსიტეტის სტუდენტის ადმინისტრაცია წინამდებარე შინაგანაწესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადგენს საერთო საცხოვრებელში ცხოვრების უფლების მქონე პირებს, ხოლო საერთო საცხოვრებელში შესახლების გადაწყვეტილება მიიღება მე-3 მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული კრიტერიუმების საფუძველზე, მათი ანბანურ თანმიმდევრობაში ასახული პრიორიტეტულობის გათვალისწინებით. აღნიშნული პრინციპის გამოყენების შემდგომ, შესაძლო საჭიროებისას შესახლების გადაწყვეტილების მიღების დროს უპირატესობა ენიჭება ონლაინ რეგისტრაციისას უფრო ადრე დარეგისტრირებულ პირს, რა დროსაც მოქმედებს ამ პირის მიერ დაფიქსირებული არჩევანი საერთო საცხოვრებლის თაობაზე (ბაგების ან/და ლისის საერთო საცხოვრებელი).

7. ამ მუხლის პირველი - მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურების დასრულების შემდგომ, შესახლების უფლებამინიჭებულ სტუდენტთან ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

8. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირველი - მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურის დასრულების შედეგად საერთო საცხოვრებელში დარჩა თავისუფალი საცხოვრებელი ფართი, უნივერსიტეტის მიერ შესაძლებელია ჩატარდეს ხელახალი პროცედურა საერთო საცხოვრებელით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად წინამდებარე შინაგანაწესით დადგენილი წესით, რა დროსაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შესაძლებელია დადგინდეს პროცედურის შემჭიდროვებული ვადები.

მუხლი 5. შესახლების პროცედურა

1. ხელშეკრულების დადების შემდგომ, მოზინადრე ვალდებულია გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირა, რის შემდეგაც მას გადაეცემა ხელშეკრულებით განსაზღვრული საცხოვრებელი ფართი. ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში ხელშეკრულება კარგავს ძალას.

2. მოზინადრე ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირველი 1 თვის ქირა გადაიხადოს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღისა, ხოლო ყოველი მომდევნო თვის ქირა გადაიხადოს ყოველი მომდევნო თვის დაწყებამდე (საცხოვრებელი ფართით არასრული თვის განმავლობაში სარგებლობისას, 15 დღემდე სარგებლობის შემთხვევაში გადაიხდებიან სრული თვის ქირის ნახევარი, ხოლო 15 დღეზე მეტი ვადით სარგებლობის შემთხვევაში - ერთი თვის ქირის სრული ოდენობა).

3. მოზინადრე, საერთო საცხოვრებელი სარგებლობის დაწყებამდე, ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე შინაგანაწესს, რომლის დებულებებზე თავის თანხმობას ადასტურებს ხელმოწერით. წინამდებარე შინაგანაწესი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

4. საცხოვრებელი ფართის ერთი გასაღები მუდმივად უნდა ინახებოდეს საცხოვრებელი კორპუსის ადმინისტრატორთან.

მუხლი 6. მოზინადრის უფლება-მოვალეობები

1. მოზინადრეს უფლება აქვს:

ა) იცხოვროს მისთვის გადაცემულ ოთახში და ისარგებლოს ყველა იმ კომუნალური პირობებით, რომელიც არსებობს მის საცხოვრებელ კორპუსში;

ბ) ისარგებლოს სასწავლო, სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ფართით, საერთო სარგებლობის ინვენტარითა და აღჭურვილობით;

გ) თანამოზინადრის თანხმობით მიიღოს სტუმარი დღის განმავლობაში არაუადრეს დილის 10⁰⁰ საათიდან, არაუმეტეს ღამის 22⁰⁰ საათამდე;

დ) სტუდქალაქის ადმინისტრაციისგან მიიღოს საშვი.

2. მოზინადრე ვალდებულია:

ა) გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირა წინამდებარე შინაგანაწესისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებსა და პირობებით;

ბ) გაუფრთხილდეს მისთვის გადაცემულ უძრავ და მოძრავ ქონებას;

გ) ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში გაათავისუფლოს საცხოვრებელი ფართი და დააბრუნოს გადაცემული ქონება პირვანდელ მდგომარეობაში ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით; წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდქალაქის ადმინისტრაციას უფლება აქვს საცხოვრებელი ფართი გამოიყენოს დანიშნულებისამებრ. ასეთ შემთხვევაში, ყოფილი მოზინადრის ნივთებზე ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს.

დ) დაიცვას წესრიგი და არ დაარღვიოს სხვა მოზინადრეთა სიმშვიდე და უსაფრთხოება;

ე) დაიცვას სანიტარულ-ჰიგიენური, ტექნიკური და სახანძრო უსაფრთხოების ნორმები;

ვ) არ იყოლიოს შინაური ცხოველი საერთო საცხოვრებელში;

ზ) აცნობოს სტუდქალაქის ადმინისტრაციას მის სარგებლობაში არსებული ოთახის კარების საკეტის შეცვლის შესახებ და გადასცეს გასაღების ერთი ასლი საცხოვრებელი კორპუსის

ადმინისტრატორს;

თ) აუნაზღაუროს უნივერსიტეტს მისი ბრალეული ქმედებით, ან უმოქმედობით მიყენებული ზიანი;

ი) საერთო საცხოვრებლით სარგებლობის შეწყვეტის, ასევე დროებით (ერთ თვეზე მეტი ვადით) სარგებლობის შეჩერების შემთხვევაში წინასწარ, მაგრამ არაუგვიანეს სარგებლობის შეჩერებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში აცნობოს სტუდენტის ადმინისტრაციას;

კ) საჭიროების შემთხვევაში სტუდენტის ადმინისტრაციის მითითებით გადავიდეს სხვა ოთახში, ან სხვა კორპუსში საცხოვრებლად;

ლ) დაიცვას წინამდებარე შინაგანაწესი და ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობები;

მ) პერიოდულად (ყოველი სასწავლო სემესტრის დაწყებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა) სტუდენტის ადმინისტრაციას წარუდგინოს ცნობა შესაბამისი ფაკულტეტიდან;

ნ) საერთო საცხოვრებელში შესვლისას უფლებამოსილ პირს წარუდგინოს მასზე გაცემული საშვი.

მუხლი 7. მოზინადრის პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების მოშლა

1. მოზინადრის მიერ წინამდებარე შინაგანაწესის, ან/და ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტის მმართველის მიერ მიეცემა გაფრთხილება წერილობითი ფორმით. შინაგანაწესის, ან/და ხელშეკრულების პირობების განმეორებით დარღვევის შემთხვევაში, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უფლებამოსილია მოშალოს მოზინადრესთან ხელშეკრულება და მოითხოვოს საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შეწყვეტა. მოზინადრეს გადახდილი ქირა არ უბრუნდება.

2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ხელშეკრულება მოშალოს მოზინადრესთან სტუდენტის ადმინისტრაციის მომართვის გარეშე, თუ მისთვის ცნობილი გახდა მოზინადრის მხრიდან წინამდებარე შინაგანაწესის, ან/და ხელშეკრულების პირობების სისტემატური, ან/და უხეში დარღვევის შესახებ.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შინაგანაწესის უხეშ დარღვევად ჩაითვლება:

ა) საერთო საცხოვრებლის ტერიტორიაზე პირთა სიტყვიერი, ან/და ფიზიკური შეურაცხყოფა;

ბ) საერთო საცხოვრებლის უძრავი, ან/და მოძრავი ქონების განზრახი დაზიანება, ან განადგურება;

გ) საერთო საცხოვრებლის ტერიტორიაზე ალკოჰოლური და ნარკოტიკული საშუალების მიღება.

4. ხელშეკრულება ავტომატურად წყდება, თუ მოზინადრე არ წარმოადგენს ცნობას შესაბამისი ფაკულტეტიდან სტუდენტის აქტიური სტატუსის ქონის შესახებ ან დადგინდება, რომ მოზინადრემ დაკარგა უნივერსიტეტის სტუდენტის აქტიური სტატუსი.

მუხლი 8. საერთო საცხოვრებელში შესვლის რეგულირება

1. სტუდენტის საერთო საცხოვრებელში შესვლა ხორციელდება საშვის საფუძველზე.

2. საშვის დაშვების უფლება აქვს სტუდენტის ადმინისტრაციის უფლებამოსილ თანამშრომელს მოზინადრის

მიმართვის საფუძველზე.

„მუხლი 9. ლისის საერთო საცხოვრებელში უნივერსიტეტის სტუმრის განთავსების წესები.

1. სტუმართა ლისის საერთო საცხოვრებელში საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენს უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის კორესპონდენცია, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანხმობით. ხსენებული კორესპონდენციის წარდგენამდე შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ვალდებულია სტუმრების ვიზიტის დაგეგმვის ეტაპზე (ვიზიტის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ვიზიტამდე 15 სამუშაო დღით ადრე) დაადგინოს ლისის საერთო საცხოვრებლის მზაობა შესაბამისი ვიზიტის უზრუნველსაყოფად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საერთო საცხოვრებელში განთავსებული სტუმრის მიერ ფართით სარგებლობის, ან მომსახურებისათვის გადასახადის გადახდის მიზნით, გამოიყენება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტალაქში მობინადრეთა საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ტარიფების განსაზღვრის თაობაზე“ ბრძანებით განსაზღვრული სარგებლობის ტარიფები.

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ სტუმრის სტატუსით მოსარგებლე პირი არის უნივერსიტეტში მობილობის, ან გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მყოფი სტუდენტი, უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული შესაბამისი მემორანდუმის, ხელშეკრულებისა თუ სხვა სამართლებრივი აქტის ფარგლებში უნივერსიტეტში დროებით სტუმრად მყოფი პირი, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ან საზღვარგარეთის ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს, ან პერსონალს, ასევე უნივერსიტეტის სახელით გასამართ ღონისძიებაზე (რომლის ორგანიზატორი ან თანაორგანიზატორია უნივერსიტეტი) მოწვეული, ან ამ ღონისძიებაში მონაწილე პირი და ზემოხსენებული მემორანდუმი, ხელშეკრულება თუ სხვა სამართლებრივი აქტი ითვალისწინებს უნივერსიტეტის მხრიდან აღნიშნულ სტუმართა ცხოვრების ხარჯების დაფარვას, უნივერსიტეტის სტუმრები განთავსდებიან ფართით სარგებლობის (მომსახურებისთვის) გადასახადის გადახდის გარეშე. ლისის საერთო საცხოვრებელში, აგრეთვე, შესაძლებელია განთავსდნენ უნივერსიტეტის ის სტუდენტები, რომლებიც წარმოადგენენ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან სხვა მიზნობრივი პროფილის პროექტის ან ღონისძიების მონაწილეებს (მათ შორის ერთობლივი პროექტის, ღონისძიების, რომლის ორგანიზატორი ან თანაორგანიზატორია უნივერსიტეტი), შესაბამისი პროექტისა თუ ღონისძიების პირობების გათვალისწინებით (კერძოდ, ხსენებული პირობები შეიძლება ეხებოდეს ფართით სარგებლობას (მომსახურებას) გადასახადის გადახდის გარეშე, ფართით სარგებლობას (მომსახურებას) გადასახადის გადახდით შესაბამისი პროექტის ან ღონისძიების ბიუჯეტით გათვალისწინებული ოდენობით, მაგრამ არანაკლებ უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ოდენობებისა, პროექტით ან ღონისძიებით გათვალისწინებულ ვადებს და სხვ.)“

[ძალაშია 2018 წლის 30 ოქტომბრიდან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება N288/02-01, 30/10/2018წ.](#)

მუხლი 10. გარდამავალი დებულებები

1. წინამდებარე შინაგანაწესის ძალაში შესვლამდე ბაგების საერთო საცხოვრებლით მოსარგებლე უნივერსიტეტის პერსონალთან დადებული ქირავნობის ხელშეკრულებებით რეგულირებული ურთიერთობები ექვემდებარება შემდეგ ცვლილებებს:

„ა) უნივერსიტეტი უფლებამოსილია ბაგების საერთო საცხოვრებლით ამჟამად მოსარგებლე უნივერსიტეტის პერსონალთან:

ა.ა) წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დამქირავებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე გააფორმოს (დადოს) სტუდენტობის სარგებლობის ხელშეკრულება, არაუმეტეს 1 (ერთი) კალენდარული წლის ვადით;

ა.ბ) ყოველი მომდევნო ერთწლიანი ხელშეკრულების გაფორმების (დადების) უფლებამოსილების გამოყენებისას, შესთავაზოს წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დამქირავებელს ცვლილებები სახელშეკრულებო პირობებში სტუდენტობის შინაგანაწესის შესაბამისად.

ძალაშია 2018 წლის 30 ოქტომბრიდან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება N288/02-01, 30/10/2018წ.

ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქირავნობის არაუმეტეს 1 წლიანი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სარგებლობის ტარიფი განისაზღვროს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ბაგებისა და ლისის სტუდენტობის ტარიფების განსაზღვრის თაობაზე“ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების შესაბამისად.

2. წინამდებარე შინაგანაწესის ძალაში შესვლამდე, სტუდენტობაში მობინადრე სტუდენტებთან ამ შინაგანაწესის ძალაში შესვლის დროისთვის მოქმედი ქირავნობის ხელშეკრულებების პირობები რჩება უცვლელი.

„3. წინამდებარე შინაგანაწესის ძალაში შესვლის დროისათვის ბაგების საერთო საცხოვრებელი მოსარგებლე (იმ დროისათვის მოქმედი ხელშეკრულების მქონე) უნივერსიტეტის პერსონალს, რომლებმაც 2018 წლის 1 ნოემბრიდან ან არ გააფორმეს ბაგების საერთო საცხოვრებელში მათ მიერ დაკავებული ფართით სარგებლობის ახალი ხელშეკრულებები, ან შეწყვიტეს ასეთი ხელშეკრულებების მოქმედება და 2018 წლის 1 ნოემბრიდან ფაქტობრივად სარგებლობენ მათ მიერ დაკავებული ფართით, უნივერსიტეტმა, ბაგების საერთო საცხოვრებელში ბინადრობის მიზნით, შესაძლოა გაუფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება, შემდეგი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში:

ა) უფლებამოსილი (წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული) პირის წერილობითი განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში, სადაც დაფიქსირებული იქნება:

ა.ა) თხოვნა, განმცხადებლის მიერ ფაქტობრივად დაკავებულ ფართზე, ამ შინაგანაწესით დადგენილი წესით, ბინადრობის უფლების მიცემის შესახებ;

ა.ბ) განცხადებაში მითითებული უნდა იყოს, რომ განმცხადებელი თანახმაა წინამდებარე შინაგანაწესით გათვალისწინებულ ყველა პირობაზე და მის მიერ დაკავებული ფართის ფაქტობრივად სარგებლობის პირობებში წარმოშობილი დავალიანების სრულად და უპირობოდ დაფარვის თაობაზე;

ბ) ხელშეკრულების (მათ შორის ყოველი მომდევნო ხელშეკრულების, ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 კალენდარულ წელს. აღნიშნული, ისევე როგორც ტარიფები, რეგულირდება წინამდებარე შინაგანაწესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით;

გ) ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დავალიანება შესაძლებელია გადანაწილებული იქნას უნივერსიტეტთან შეთანხმებით. ასეთ შემთხვევაში „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას, მისი წარმოდგენისას უნდა დაერთოს ინფორმაცია (ცნობა) ხსენებული გადანაწილების გრაფიკისა და სხვა დეტალების შესახებ (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).

4. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, უარი უთხრას ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ განმცხადებელს იმავე პუნქტით დადგენილი წესით წარმოდგენილი განცხადების დაკმაყოფილებაზე და უნივერსიტეტის წინაშე წარმოშობილ ამ

განმცხადებლის დავალიანებაზე რეაგირება განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

ძალაშია 2019 წლის 24 დეკემბრიდან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება N293/02-01, 24/12/2019წ.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ნუნუ ოვსიანიკოვა